წელიწადი პირველი

საქართველო უწინარეს ყოვლისა

მომავალი

აგვისტო. 1934 წ. პარიზი.
№ 4.

ქართული პატრიოტული ორგანიზაციის „თეთრი გიორგი“.
L'AVENIR organe de l'organisation des patriotes georgiens "THETHRI GUIORGUI"

AOUT. 1934. Paris
№ 4.

1924 — 1934

ათი წელი შესრულდა მას შემდეგ და გულის წყლულები დღესაც არ დაამებულან; ათი წელი ჩვენს დროში მთელი ეპოქაა; ჩვენი ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის მთელი პერიოდი. დაჭრილი არწივი დღესაც არ განკურნებულა; ყვავ-ყორანი კვლავ თავს დასჩხავის; ბრძოლის ქარიშხალი ჯერაც არ ჩამდგარა; ჯანყის სული ყველგან ტრიალებს და ამიტომ უფრო მწარე სიხარულს აღვივებენ მოგონებანი იმ დღეების როცა იელვა. მოგონებანი იმ დღეების როს ივერიის ცა წითელი ზოლებით იყო დასერილი; როს მიწის ზედაპირზედ სიხარულის სიო დაქროლავდა და შეთქმულთა ბანაკებს იმედისა და გამარჯვების სიტყვებს ჩასჩურჩულებდა. ყოველგან სიჩუმე იყო. მზადება იდუმალი. სიწყნარე დიდი ქარიშხლის წინ. ხანდისხან შავი ყორანის ჩხავილი თუ არღვევდა. მყუდროებას, ქართველის ბედს რომ ასდევნებოდა.

ფრთხილის სიჩუმით ბარი მთას ამცნობდა მის გადაწყვეტილებას; ხევი მთას ბანს აძლევდა და ერთი სული და ერთი ფიქრი ეფინებოდა მთელ არე მარეს. ყოველი სიტყვა, ყოველი აზრი ელექტრონული სისწრაფით გადადიოდა ერთი ბანაკიდან მეორეში და საქართველოს საუკეთესო შვილების გულში ბრძოლის ცეცხლს აღვივებდა. ყველა მოუთმენლად ელოდა საბედისწერო წუთს, ელოდა მოუთმენლად, რათა მტერს ვაჟკაცურად შეჰკვდომოდა პირისპირ ბრძოლაში. ამ დროს ყოველი ქართველის ძარღვებში ერთი სისხლი ჩუხჩუხებდა, ერთნაირ ჰანგზედ; სისხლი ქართული, საუკუნებრივი ბრძოლებით განმკვრივებული. ყველას ძარღვი ერთნაირად სცემდა; ყველას გული ერთნაირად ტოკავდა; ყველა ერთს გრძნობდა; ყველას ერთი რამ ამოძრავებდა. ეს იყო ჟამი როდესაც ქართველმა იცნო თავისი თავი; აქ შეხვდა ქართველი ქართველს და ძმური ხელი გაუწოდა, აქ კიდევ ერთხელ იფეთქა ქართულმა ამაყმა და შეურიგებელმა გრძნობამ. აი რატომ არის რომ მას ჩვენ ეროვნული ნებისყოფის გამოხატულების აქტად აღვიარებთ. ყოველგვარ ბრალდებულთა და მსაჯულთა შეცდომა დანაშაულის გარეშე...

აჯანყება დამარცხდა... ის ტყვია-მფრქვევლებითა და ყუმბარებით იქმნა ჩაქრობილი. ის ქართველ ერს 5000 ყრმის სისხლის ფასად დაუჯდა. ხუთიათასი მამულიშვილის სისხლით განბანა მისი წმიდათა წმიდა და შთამომავლობას ზღაპრულ მოგონებად უანდერძა. დღეს ჩვენ მხოლოდ მუხლ-მოდრეკით თაყვანებალა გვმართებს მათი საფლავების წინაშე; გვმართებს იქვე ფიცის დადება, რომ ჩვენც მათ გზას გავყვებით, რომ ჩვენც ბოლომდე ერთი რწმენით ვიცოცხლებთ: ან სიკვდილი ან გამარჯვება; რადგან გვწამს, ქართველი ერი მიტომ არსებობს დღესაც ასეთი ამაყი სულით, რომ ის ბედს აროდეს ურიგდებოდა, რომ ის მის ხვედრს ბედის სამზღვარის იქით ეძიებდა... ასეთია მისწრაფება ლეგენდარული ამირანის. ქართველის ბედისა და უბედობის სიმბოლიური გამოხატულების. ჩვენც ამაყად და შეუდრეკლად განვაგრძობთ ჩვენს თავდადებულ წინაპართა ათასჯერ ნათელს და დღეს კვლავ ნარ-ეკლით მოცულ სავალს. ჩვენი შეურიგებლობა, ბრძოლა, ჯანყის სული, მანამდე დარჩება ჩვენს ორგანიულ ნაწილად, სანამ ერს თავისუფლებას არ მოვუპოვებთ, სანამ გამყიდველთაგან შეურაცყოფილი ეროვნულ ცხოვრებას პატივსა და ღირსებას არ დავუბრუნებთ...

1918 წლის 26 მაისით დამარცხდა საქართველოში ჩვენი კოსმოპოლიტური იდეების მქადაგებელთა 30 წლის ნაამაგარი. ქართველ ერში იფეთქა ღრმა ეროვნულმა შეგნებამ. 1921 წლის დაპყრობამ დადებითი შემოქმედებისათვის გაღვიძებული გრძნობა ბრძოლის ქარცეცხლში გადაიტანა. ერთი საუკუნის შემდეგ კიდევ შეისხა ქართველმა თოფ-იარაღი. დაიწყო ახალი ეპოქა. ის იყო ანალოგიური მე-19-ე საუკ. დასაწყისის. მაშინ 1832 წელი და ახლა 1924. ამ დიდი რეფლექსიური გამოხატულებით როგორც მაშინ, ახლაც დამთავრდა ერთი პერიოდი ჩვენი განმათავისუფლებელი ბრძოლებისა და დაიწყო ახალი.

ახალმა დრომ ახალი საშვალებანი მოითხოვა, ახალი აზრით, ახალი სულით, ახალი რწმენით და ახალი მწყრობით. ამ დიდი ეროვნული სულისკვეთების წიაღში დაიბადა ჩვენი მოძრაობა, დაიბადა როგორც აუცილებლობა. მან თავის მოქმედების პროგრამაში ჩააქსოვა ყველა ის საუკეთესო გრძნობები, რაც ჩვენმა თავდადებულმა წინაპრებმა მათი თავგანწირულებით შექმნეს ჩვენში. ჩვენს მოძრაობას, მოქმედების საფუძვლად ახალი აზრი და ახალი იდეა დაედო, ისტორიულად აღზრდილი, ქართული მამულიშვილური სულით შთაბერილი, თანამედროვე მოთხოვნილებებით ხორცშესხმული. 1924 წლის დამარცხების შემდეგ საქართველოს ბედის ვარსკვლავი დარჩა ბრძოლისა და შემოქმედების ახალ სივრცეში. მისი მიგნება, ბრძოლა და გამარჯვება ახალი ტიპის საზოგადოების საქმეა. ეს ტიპი განსახიერდა ჩვენს თაობაში. იმ თაობაში, რომელიც აგვისტოს სისხლით განოყიერებულ ნიადაგზედ აღიზარდა. ასეთია ჩვენი რწმენა და ამიტომ თავი სამსხვერპლოდ არ გვენანება. ისიცა გვწამს, რომ დღეს თუ ხვალ გავიმარჯვებთ და ერისა და სამშობლოს დიდების მზესაც მოვესწრებით.

Un animateur Franco-Géorgien :

M. André FAILLET

Président du Comité "France-Géorgie"

Depuis sa fondation, 1926, le Comité « France-Géorgie » a eu le grand honneur de compter des Français éminents, et ce fut Son Excellence, M. le Ministre Louis Marin, membre du Gouvernement français, qui, le premier, lui accorda sa Haute protection et son Patronage.

Au moment où les événements nous font un devoir impérieux de mener notre action vers le succès final avec une force accrue et des moyens plus puissants, il était indispensable de mettre à la tête du Comité un Français connu pour ses hautes qualités d'homme d'Etat et d'homme d'action.

Aussi sommes-nous particulièrement heureux d'annoncer que, désormais, la présidence du Comité « France-Géorgie » sera assurée par M. André Faillet, l'un des patriotes français qui, depuis la guerre, ont le plus courageusement servi leur pays par la plume, la parole et l'action.

La plupart des Géorgiens vivant en France connaissent M. André Faillet qui est un de nos grands amis. Mais nous tenons à présenter à nos Frères demeurés dans la Patrie lointaine l'homme en qui nous mettons de légitimes espoirs.

ECRIVAIN, ORATEUR, SOCIOLOGUE

M. André Faillet est le fils du fondateur du « *Parti Ouvrier Français* », élu du peuple de Paris pendant trente ans et qui — par toute une vie de labeur et de désintéressement consacrée à la défense des classes laborieuses — mérita ce beau surnom populaire : *l'Ami des Malheureux*.

Ecrivain et journaliste, M. André Faillet a, par son caractère et son talent, conquis l'estime de ses confrères qui lui ont temoigné leur confiance en le mettant, depuis dix ans, à la tête de plusieurs de leurs groupements professionnels.

Sociologue et économiste, il est l'auteur d'études remarquables et de projets réalistes sur la plupart des grands problèmes dont la solution est capitale pour l'avenir du monde moderne.

Véritable tribun, son action sur les foules est connue de tous ceux qui l'ont vu entraîner les vastes auditoires des salles Wagram et Bullier ainsi que les foules paysannes ou, comme l'an passé, enthousiasmer les 30.000 assistants du meeting monstre du Vélodrome d'Hiver.

UN ENNEMI DU MARXISME

Patriote passionné, défenseur résolu de la liberté et du véritable progrès social, M. André Faillet est un ennemi acharné du marxisme et des Soviets.

Il a combattu les socialo-communistes dans maints journaux et dans d'innombrables réunions, chassé de Paris le chef judéo-socialiste Léon Blum et participé à de nombreuses tentatives antisoviétiques, en particulier lors de l'assassinat du Général Koutièpoff.

Enfin, comprenant qu'on ne peut vraiment vaincre le marxisme qu'en lui opposant une doctrine de justice sociale et de rénovation économique, il en a réuni les éléments dans une étude remarquable : « *Le Laborisme* », qui constitue une véritable charte de l'Etat Moderne, harmonisant la liberté des citoyens avec l'autorité du pouvoir central; sous le contrôle des hiérarchies nationales.

REALISATEUR ET HOMME D'ACTION

Bien que doué d'une éloquence entraînante et d'une plume vigoureuse, M. André Faillet ne se paie pas de mots : *c'est un réalisateur et un homme d'action*.

En 1927, il fonde l'un des premiers groupements de contribuables et, depuis, devenu Délégué général de leur Confédération, ne cesse de lutter contre l'écrasement fiscal de l'étatisme socialisant.

Depuis 1929, fondant les « *Syndicats du Public* » et la « *Ligue du Salut Public* », M. André Faillet mène contre la vie chère, la crise du logement, le pillage de l'épargne, les scandales parlementaires, les abandons diplomatiques, des campagnes ardentes acclamées par le peuple de Paris dans des meetings retentissants.

Pour protéger la paix mondiale et la sécurité française contre le militarisme étranger, M. André Faillet fonde, en 1930, un « *Comité National* » dont le général Mordacq, bras droit du grand Clemenceau, accepta la présidence et auquel adhérèrent la plupart des associations patriotiques : « *Croix-de-Feu et Briscards* », « *Ligue des Patriotes* », « *Comité Dupleix* », « *Ligue du Salut Public* », « *Jeunesses Patriotes* », « *Camarades de Combat* » et maints autres groupements d'Anciens Combattants.

En 1933, M. André Faillet est l'un des fondateurs du « *Comité d'Entente Economique* », dont il est l'un des principaux animateurs et qui comprend les plus grandes associations d'agriculteurs, d'industriels, de commerçants, de contribuables, etc.

Ajoutons que M. André Faillet est un organisateur remarquable et un homme d'action qui n'hésite jamais à payer de sa personne. Il lui est coutumier de se rendre, seul ou escorté de quelques amis, dans les réunions socialo-communistes des faubourgs parisiens et de la banlieue rouge. Le 30 juin 1930, il était arrêté place de la Concorde où il manifestait contre l'évacuation de Mayence. L'an passé, à la tête des paysans et des contribuables, il conduisait les journées révolutionnaires de Chartres et de Péronne. Le 6 février 1934, il se trouvait dans le cortège de l' « Union Nationale des Combattants » avec les Français résolus à réaliser le redressement de leur pays.

ANDRE FAILLET ET LA GEORGIE

M. André Faillet est, depuis des années, un ami fervent de la Géorgie, soutenant nos efforts aux côtés de M. le Ministre Louis Marin. A maintes reprises, il nous a apporté un précieux concours, en particulier à l' « *Association des Etudiants Géorgiens* », et, en 1930, lors du Congrès des « *Jeunesses Patriotes Géorgiennes* ».

Surtout, les patriotes Géorgiens n'oublieront jamais

son émouvante participation aux obsèques de notre héros national, le prince Tcholokachvili, dont il accompagna le cortège de deuil à la tête du « *Bureau Politique International* ». Sur sa tombe, il prononça une admirable oraison funèbre dont nous tenons à reproduire les derniers mots, demeurés gravés dans notre cœur :

« ... Le danger qui nous menace est le même :
« pour le vaincre, nous devons le combattre unis
« fraternellement. Aussi, sur cette tombe, c'est en
« votre nom, Géorgiens, comme au nôtre, Fran-
« çais, que je fais le serment de mener jusqu'au
« bout la croisade libératrice.

« Tu peux dormir en paix, Héros de Géorgie.
« Ton œuvre sainte, nous jurons de la remplir
« pour qu'un jour prochain le soleil resplendisse
« sur ta patrie libérée et pour que l'étoile rouge
« des Barbares soit à jamais chassée du ciel par
« la croix d'azur, symbole de civilisation et de foi,
« de justice et de liberté. »

On le voit, nous avons lieu d'être fiers que M. André Faillet ait accepté de répondre à notre appel. Avec un tel homme, nos espoirs peuvent renaître : arrachée au joug infâme et sanglant, la Géorgie sera rendue à la liberté, à l'honneur et à la prospérité; car, en lui amenant André Faillet, nous avons conscience de donner à notre Comité et à notre œuvre nationale son Chef.

Le Secrétaire général du Comité
« France-Géorgie ».

უადგილობის გამო აქვე ვერ ვათავსებთ და შემდეგ ნომერში დაიბეჭდება „ქართულ - ფრანგული“ კომიტეტის თავმჯდომარის ბ. ა. ფაიეს ვრცელი წერილი საქართველოზედ. **რედ**

ქართული ხელოვნება

ქართული ხელოვნების ისტორია იწყება ჩვენში ქრისტიანობის მიღების შემდეგ, დაახლოვებით მე-4-ე საუკ. დასაწყისში: თუმცა ქართული ხელოვნება გაცილებით უფრო ადრე არსებობდა, რასაც ამტკიცებენ მრავალი ძეგლები ; ხელოვნების ნიმუშები და სამკაულები — მოღწეული ჩვენამდე და რომელნიც ნათელს ჰყოფენ ქართველების იმ დროინდელ კულტურულ ცხოვრებას, მათ ნიჭს, გემოვნებას და ხელოვნებისადმი მოთხოვნილებას.

ქართული ხელოვნება გამოიხატება : ქართულ ხუროთმოძღვრებაში (რაც უკეთ დაცულია შედარებით სხვა დარგებთან), ქართულ მხატვრობაში, ქანდაკებაᲘ - ორნამენტებში, ოქრომჭედლობაში და მინანქრებში.

ვინაითგან ჩვენში ქრისტიანობა სირია - პალესტინითგან შემოვიდა, ცხადია ჩვენი პირველი ქრისტიანული ხელოვნებაც ძალიან წააგავდა სირია - პალესტინის ხელოვნებას: პირველი ჩვენი საყდრები — ბაზილიკური ფორმისა, ნეფებით, სვეტებზე დაყრდნობილი და ორ მხარეს დაქანებული სახურავებით; ასეთი იყო პირველი ქრისტიანული საყდრები, რომელიც დაიწყო სირია - პალესტინაში და გავრცელდა ყველგან, ასეთივე ფორმა საყდრებისა იყო საფუძველი რომაული სტილისა, ევროპის ხუროთ - მოძღვრებაში და რომელმაც გასტანა მე-12-ე საუკუნემდე.

საქართველოში, აღნიშნული ხელოვნება, სრულიად სხვებისდა დამოუკიდებლად ძალიან მალე განვითარდა, მასში შეიჭრა ადგილობრივი ხასიათი და გამოვნება და ჩამოყალიბდა საკუთარ ფორმაში, დაკავშირებული ჩვენს ბუნებასთან და ჩვენს ეროვნულ ცხოვრებასთან.

მე-6-ე საუკუნე ითვლება ქართული ხუროთ - მოძღვრების ოქროს ხანად.

ჯვარის ტაძარი, ამ საუკუნის დედა ბოძი და ქართული ხუროთ - მოძღვრების სიდიადე აგებულია მცხეთაში მე-6 საუკუნის მე-3-ე მეოთხეში ქართველი ხუროთ - მოძღვარის მიერ; გუმბათიანი საყდარი, პლანში ჯვარი (თანაბარი განზომილების) ჯვარისვე ფორმა კედლების მშენებლობაში, ნიაღარასავით ჩამოსხმული მთლიან სილამაზეში. განიერი და დაბალი გუმბათი, დაყრდნობილია კედლებზედ. გარედან ორი შესავალი; სამხრეთით და ჩრდილოეთით, პირველი მთავარი, **რომელსაც ამკობს პორტიკი (შესავლის ცალკე პატარა შენობა)**: აღმოსავლეთის მხარეს — საკურთხევლის სამ კედელზედ ჩაყოლებულია, ამავე დროის, ქვის სიბრტყეებზედ გამოქანდაკებული ქრისტე და აღმშნებელნი მათი სახელების ზედ წარწერით.

ამ ტაძართან დაკავშირებულია მრავალი ლეგენდები რაინდული და თავისთავადაც იგი ლეგენდარულია; გაშენებული მთის მწვერვალზედ თაიგულივით შვენის ბუნებას და სილამაზით გადაჰყურებს თვალ უწვდენელ ხეობებს. დაბლა, შორის მანძილიდან, მოდიან მტკვარი და არაგვი და ერთად ხელ - ჩართული და მუხლ - მოდრეკილი კალთებს უკოცნიან ქართველი ერის სიდიადეს, ქართველი ერის სულის საკურთხეველს **„ჯვარის ტაძარს“**.

მეორე აღორძინება ქართველი ხუროთ - მოძღვრებისა ხდება 7 - 9 საუკუნეეებში და ცნობილია თვისი მრავალგვარი ძიებებით და ახალი ფორმების შემოღებით; მრგვალი ფორმის, მოგრძო ოთხკუთხედით, გუმბათიანი და უგუმბათო ცალკე პორტიკებით და საკურთხეველში სვეტების შემოღებით. ამავე ხანაში ვითარდება მრგვალი ქანდაკება (ტაოკლარჯეთში განსაკუთრებით) და ფრესკები, რომელიც დღემდის შენახულია აქა - იქ.

მესამე აღორძინება ქართული ხელოვნებისა ხდება მე-11 საუკუნეში. მრავალმა ძიებებმა, ფორმების სხვადასხვა განვითარებამ და სალმა აზროვნებამ წარმოშვა ნამდვილი თანამედროვე და ქართული კლასიკური ფორმა, მთელი თავისი შინაარსით და შემოქმედებით. დამუშავებული და შესწავლილი სულ უკანასკნელ პატარა ორნამენტამდის, რათა სულ მცირედიც ყოფილიყო კონსტრუქტიულად შეხმატკბილებული საერთო მთლიანობაში. ამ საუკუნოების უზარმაზარი საყდრები თითქოს ერთი ქვიდან იყვნენ გამოთლილნი. ამ კლასიკურ ეეპოქაში გაშენებულია: მცხეთის „სვეტის - ცხოველი“, ალავერდი, გელათი და ბაგრატის ტაძარი.

ლამაზი ფორმებით და ორნამენტებით მოქარგული ამ დროის საყდრები განირჩევიან პირვანდელი ფორმის საყდრებისაგან სულ ერთის შეხედვითაც: პირველნი **შენდებოდნენ**; — სიგრძეში, ოთხკუთხედში, მრგვალ **წრეში და კონსტრუქციულად** დამუშავებულ ფორმებში, ახლა კი **შენდება** ცის სიმაღლეში, მაღალი და წვეტიანი გუმბათი — ადამიანის ლოცვისამებრ აზიდულია ცაში. განსაკუთრებით ალავერდის ტაძარი, რომელიც მთელი თავისი სილამაზით და სიმაღლით გადაჰყურებს თვალ - უწვდნელ ალაზნის ველს და ჰფარველობს მას, და დღესაც მისი თაყვანისმცემელნი, სულ მივარდნილ და მიყრუებულ საქართველოს კუთხეებიდან, ნოხებით მოქარგულ ურმებით, მიილტვიან მის სიდიადის თაყვანსაცემლად.

ამ ეპოქის ჩვენი საყდრები, სრულიათ ლოღიკური იქმნება, რომ შევადაროთ გოტიურ სტილის საყდრებს (დაიწყო საფრანგეთში და გავრცელდა მთელს ევროპაში), რომელიც წარმოიშვა მე-12-ე საუკუნეებიდან და რომლის დედა - აზრი იყო საყდრების აგება ცის სიმაღლეში.

ფრესკები და მხატვრობა რომელიც თავისი ხელოვნური ღირსებით ძვირფასია, როგორც ქართველი ერის სიამაყე, აგრეთვე საერთაშორისო ხელოვნების შეფასებაში: სამწუხაროდ ეს ორივე დარგის ხლოვნება ძალიან დაშავებულია საუკუნეებით ჩვენში ბარბაროსების შემოსევებით და განადგურებით. **უამრავი ნაშთებიც დღეს მეცნიერების ხელთაა შესასწავლად**, და ფართო საზოგადოებისთვის არაა წარმოდგენილი და რის გამოც საშვალებას მოკლებული ვართ საზოგადოებას, გავაცნოთ ქრონოლოგიურად ჩამოყალიბებულ ფორმებში. დავკმაყოფილდებით, მხოლოდ, მცირედი დემონსტრატიული წარმოდგენით; პირველი ფრესკები გვხვდება და დღეს შენახულია საქართველოში მე-7-ე საუკუნიდგან;. მე-14-ე საუკუნეში იგი აღწევს უმაღლეს განვითარებას, ყველაზედ ღირს - შესანიშნავია „დავით გარეჯიის“ ფრესკები, რომელიც მოხატულია ქართველი ბერების მიერ, მთლიანად ადგილობრივი ხასიათისაა, როგორც ნახატით, **ფერებით და კომპოზიციით.** ამავე დროისაა საფარის საყდრის ფრესკები, რომელიც დიდის ხელოვნებით არის შესრულებული — მკვიდრი და სწორი ნახატი, ფერების სიმწიფე და მშვენიერად დახასიათებული ადგილობრივი ქართული ტიპები. შესანიშნავია აგრეთვე მე-16 - 17 საუკუნეების მცხეთის სვეტი - ცხოველის ფრესკების ორგვარი მხატვრობა, ერთი უფრო ადრინდელი, რომელიც, თავის შინაარსით და ფორმით წააგავს ბიზანტიურ მხატვრობას და მეორე, სრულებით ადგილობრივი, — ქართული, როგორც მოხატულებით, ფერებით და ადგილობრივ ტიპების გამოხატულებით: უკანასკნელში შეტანილია სრულიად ახალი ფორმა, ახალი მოტივები და სიუჟეტი.

ალ. მანველიშვილი.

საქართველო და ჯვაროსნობა

ბ. ნ. ჟ. პასუხს გვაძლევს ჩვენს შენიშვნებზედ (გზ. „მომავალი“ № 3), თითქოს ჩვენ, მაჰმადიანობის წინააღმდეგ ყველა ბრძოლები „ჯვაროსნობად“ მიგვაჩნდეს („ბრძ. ხმა“ № 44)! ლაპარაკი იმაზედ, რაშიც დაბალი სკოლის მოწაფეც ადვილად ერკვევა — ზედმეტია. ჩვენ მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაზედ შევნიშნეთ, სახელდობრ, ის სწერდა: „ევროპის რელიგიურ აღტყინებაში, ჯვაროსანთა ომებში მონაწილეობაზედ საქართველომ უარი განაცხადაო“.

ისტორიული ჭეშმარიტების ასეთ ცოცხლათ უარყოფაზედ ჩვეულებრივ პასუხს არ აძლევენ. ჩვენ მხოლოდ ისტორიის არა მცოდნე მკითველს გაუწიეთ ანგარიში. შენიშვნაში ისიც აღვნიშნეთ, რომ საქართველოს მიერ ჯვაროსნობის მიღება მათი პოლიტიკური ანგარიშის ფარგლებს არ გასცილებია. ამის შემდეგ არ გვეგონა, რომ ის ვისმესთვის გაუგებარი იქნებოდა. ბ. ნ. ჟ. აღნიშნული წერილები მთლიანად განსახილველია, რადგან იქ ჩვენი წარსულის ბევრი რამ იაფად არის დაფასებული. ამ საკითხს თავის დროზედ დავუბრუნდებით. აქ კი გვინდა ჯვაროსნობის და საქართველოს ურთიერთობის საკითს მოკლე მიმოხილვა გავუკეთოთ, რათგან ის ჩვენთვის დღესაც მნიშვნელოვანია.

ქართველ ერს ჯვაროსნებისთვის უარი არ განუცხადებია. მან, როგორც ქრისტიანმა ერმა, ისევე მიიღო ის, როგორც სხვა ქრისტიანმა ერებმა. მაგრამ მან ეს მონაწილეობა აქტიურად თავისი ტერიტორიის გარედ ვერ გადაიტანა. ამის მიზეზი იყო არა მარტო მისი გეოგრაფიულად მოწყვეტილი მდებარეობა წმინდა ადგილებისაგან, არამედ და უმთავრესად მისი საკუთარი პოლიტიკური მდგომარეობა. პირველ ჯვაროსნობის დროს ტბილისი არაბებს ეკავათ. საქართველოში ბრძოლაა შინაგანი გაერთიანებისათვის, ამ დროს ანატოლითგან სელჯუკები ემუქრებიან. მხოლოდ შემდეგი ჯვაროსნობის დროს, მე-13-ე საუკუნის დასაწყისში, როდესაც საქართველოს მდგომარეობა გაცილებით მოწესრიგებულია, უკვე ქართველების მხრივ გადაწყვეტილებას აქვს ადგილი ჩაერიონ აღნიშნულ ბრძოლებში, მაგრამ ამ დროსაც კვლავ მდგომარეობის შეცვლამ ჩარევას ხელი შეუშალა. ეს იყო ფაქტიური მხარე და ჩვენ ამასთანავე ისიც უნდა დავსძინოთ: **რომ ქართველებს ხელსაყრელი პირობებიც ჰქონოდათ ჯვაროსნობაში პირდაპირი მონაწილეობის მიღებისათვის, მაშინაც არ გახდებოდენ მსხვერპლი მარტო სარწმუნოებრივი ფანატიზმისა. რათგან ეს მაშინ ქართველი ერისა და მის გვირგვინოსანთა სახელმწიფოებრივ კონცეპციას ეწინააღმდეგებოდა.** დაბოლოს ისიც ვიცით, რომ თვით ევროპის ჯვაროსნებიც გარკვეული ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესებით იყვნენ ამოძრავებულნი.

ამგვარად საქართველომ მიიღო ჯვაროსნობა იდეურად (დავით - თამარისთანა მორწმუნე მეფეებს სხვაგვარად არც შეეძლოთ)), **ხოლო პრაქტიკულად ის იყო მათთვის საკუთარი პოლიტიკური ინტერესების განაღდების საშვალება და ეს ინტერესი რამდენათაც შეიძლებოდა არსებულიყო ჯვაროსნობაში იმ ქვეყნების წინააღმდეგ. რომლებთანაც საქართველო პოლიტიკურად უფრო იყო დაკავშირებული, ამდენად შორს მჭვრეტელმა ქართველმა მეფეებმა ის გენიოსურად გამოიყენეს. რაც არსებითად გაგრძელება იყო ქართველი ერის ტრადიციული პოლიტიკისა.**

პირველი ჯვაროსნობის დროს, როგორც აღვნიშნეთ. საქართველო ძალიან შევიწროებულ მდგომარეობაშია. და როგორც ვიცით ევროპაშიც მან პირველად გამოძახილი თავისუფალ რაინდობაში ჰპოვა. ხოლო შემდეგ დავით აღმაშენებლის ბრწყინვალე გამარჯვებებმა თურქ - არაბთა წინაღმდეგ, მიიპყრო ევროპის და ჯვაროსნების ყურადღება. რათგან მტერი ერთი იყო, ამიტომ დავითი იქცა ჯვაროსანთა ბუნებრივ მოკავშირეთ. ამიტომ ევროპასა და ჯვაროსნობაში ქართველ მეფეზედ აუარებელი ლეგენდებიც შეიქმნა; მაშინ დავითის სახელი მთელ ევროპაში გრგვინავდა ვითარცა უძლეველი გმირის. რომელიც ებრძოდა ურწმუნოებს. ევროპის ქრონიკები მას პირდაპირ ჯვაროსნად და მოკავშირედაც ასახელებენ. რაც არ უნდა გადაჭარბებული იყოს ძველი ისტორიკოსების ცნობები, ფაქტიური მდგომარეობა მაინც გვავალებს აღვიაროთ, როგორც ბ. ზ. ავალიშვილიც დასძენს: რომ **„იმდროინდელი საქართველო ერთის მხრივ მართლაც რომ ჯვაროსნად ჩაითვლებაო“** (იხ. მისი წიგ. გვ. 49). თუმცა იქვე დასძენს, რომ ჩვენი მდგომარეობა უფრო რთულიც იყოვო.

მაგრამ დავით აღმაშენებლის 1121 წლის დიდ გორის ცნობილი ისტორიული გამარჯვებით კი ევროპის ჯვაროსნებში სავსებით განმტკიცებულია ის აზრი, რომ დავით ქართველთა მეფე იყო არა მარტო დიდ გორის გმირი და ტფილისის განმანთავისუფლებელი, არამედ ჯვაროსნების ერთი დიდი წინამძღოლიც. დავით აღმაშენებელმა სინამდვილეში მართლაც შექმნა ჯვაროსნებში დიდი მისტიკა. ერთი ფრანგული ქრონიკა (ბ. ავალიშვილის გამოქვეყნებული) აღნიშნავს, რომ დავითის აღნიშნულ ბრძოლაში ფრანგის მხედრებიც იღებდენ მონაწილეობასო. იგივე ბ. ზ. ავალიშვილი ფიქრობს, რომ შეიძლება ეს მართალი არ იყოს, მაგრამ **„ის კი რომ ამ ომში შეთანხმებით მოქმედებდენ ქართველები და ჯვაროსნები“ — „მოპირდაპირე ერთი და იგივე ჰყავდათ — საფიქრებელიაო“** (იხ. გვ. 71. ხაზი ყველგან ჩვენია). ბ. ავალიშვილის ასეთი დასკვნა. რომ უსაფუძვლო არ არის, ამას ამტკიცებენ ის მიზნები, რაც დასახული ჰქონდა დავითის წინააღმდეგ დიდ. თურქთა ისლამურ კოალიციას. ამას შემდეგაც ვნახავთ. დასასრულ ქართველ - ჯვაროსანთა სულიერი, იდეური და შესაძლებელია პოლიტიკურ კავშირის გამოძახილი თვით „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკაშიც არის შენახული (იხ. ქ. ცხ. ბროსეს გამოც. წ. 1-ლი, გვ. 241), ეს იყო დავითის დროს.

თამარის გამეფების მესამე წლის თავზედ იყო რომ სულთან სალადინმა დაიპყრო კვლავ იერუსალიმი. იწყება მეორე ჯვაროსნობა. მას ხელმძღვანელობს გერმანიის იმპერატორი ჰენრიხ მე-4-ე. მაგრამ სწორედ ამ ლაშქრობის დროს საკმარისი სიცხადით გამოჩნდა ჯვაროსნობაში პოლიტიკური და ეკონომიური ინერესესები. ჰენრის მე-4-ეს უნდოდა აღმოსავლეთში პოლიტიკური ჰეგემონია მოეპოებინა, იტალიის სამთავროები კი სცდილობდენ სავაჭრო გავლენის სფერო მათ ხელში ყოფილიყო. ამას ძალიან კარგად გრძნობდენ ქართველებიც და მარტო სარწმუნოებრივი ფანატიზმის მსხვერპლი არ გახდებოდენ. მიუხედავად ამისა თამარის მორწმუნე ბუნება ვერ იტანს წმიდა ქალაქის თურქების ხელში ყოფნას. ის ლეგენდა, თითქოს თამარმა უანდერძა თავის შვილს, რომ სიკვდილის შემდეგ იერუსალიმში დაემარხათ. ჭეშმარიტ საფუძველსაც არ არის მოკლებული. და აი, როცა გარდაიცვალა, შვილი გიორგი, ემუქრება თურქებს, უნდა იერუსალიმი განათავისუფლოს და დედის ანდერძი აღასრულოს. ბ. ზ. ავალიშვილი ამ მისტიკით მდიდარ ამბებს პოეზიას უანდერძებს. მაგრამ ამ ლეგენდის ჭეშმარიტი დედა აზრი მას მაინც აიძულებს დაასკვნას; **„თამარ მეფე ჯვაროსანთა გრძნობას და ქრისტეს საფლავის დახსნის საჭიროებას უსათუოდ იზიარებდაო“** (გვ. 195). შემდეგში რომ პოლიტიკური ინტერესიც არსებობს ქართველებში, ბ. ავალიშვილი ამასაც აღნიშნავს. ის ამბობს: **„თამარის მეფობის უკანასკნელ წლეებში მისი მონარქიის მდგომარეობა ისეთი ჩანდა, რომ ქართველთაგან დახმარების იმედი, არც უსაფუძვლო იყო. საქართველოს მეფის სირია - პალესტინაში საომარი ინტერვენციის გეგმა ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობის დროს (1218 - 1221) მართლაც რომ მწიფდება და დიპლომატიური ურთიერთობის საგნად ხდებაო“** (იქვე, 145).

ეს ის ხანაა, როცა ჩინგისხანი შეიჭრა პეკინში, დაიპყრო ჩინეთი და მთელი ცენტრალური აზია, ე. ი. აღმოსავლეთში გავარდა ახალი ყუმბარა, გაჩნდა ახალი ფაქტორი.

ჯვაროსნებში დიდი გამოძახილი ჰქონდა თამარის მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქრომჭედლობა, ანუ ხატები ამოჭრილი ოქროს ან ვერცხლის ფურცლებზედ, ძალიან მიღებული იყო ჩვენში და მან მიაღწია დიდ განვითარებას. პირველი ასეთი ხატები გვხვდება მე-11-ე საუკუნიდან „ზარზმის საყდარში“ და აქვე ცნობილი იყო ამ ხელოვნების სკოლა „ძმების ოპიზარების“ სახელით. ეს ხელოვნება ჩვენში ვითარდებოდა სულ უკანასკნელ მე-17 - 18 საუკუნეებამდე. შესანიშნავია აგრეთვე ქართული მინაქრები, (ემალი), რომელიც აგრეთვე განვითარებული იყო ჩვენში.

მე-11-ე საუკუნის კლასიკურ ხანის შემდეგ, ხდება ზოგი ფორმების გადაჭარბებითი ხმარება, როგორც მაგალითად გუმბათის არა ნორმალურად მაღალი და წვეტიანი, ორნამენტის და სვეტების გადაჭარბებული ხმარება და მეტი ყურადღების მიპყრობა საყდრების გარეგნულ მორთულობაზედ. საწინაღმდეგოდ კონსტრუქციულად დამუშავებისა, ასეთი ბაროკალობა თანდათან აზარტში შედის და ქართული ხუროთ-მოძღვრებაც ეცემა, ამასვე ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის მტრების მიერ დაპყრობა.

მხოლოდ მე-17-ე საუკუნეში სულ მცირედით საქართველოს ხელოვნებამ წამოყო თავი და მეტი წილი მისი დამსახურებაა დანგრეული და განადგურებული საყდრების აგება - შეკეთება — და ის ხუროთ - მოძღვრების ისტორიაში ცნობილია ვერცხლის ხანად.

ამ დროიდან — საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე ღირსეული არაფელი შექმნილა. შემდეგ ხანას შევეხებით მომავალში.

ქართული ხელოვნება დაწყებული ქრისტიანობის მიღებიდან მე-18-ე საუკუნის დამლევამდე, ვითარდება თავისი საკუთარი გზით. მიუხედავად უამრავი და განუწყვეტელი საუკუნეებითი აწიოკება - განადგურებისა და მიუხედავად დიდი კულტურული ტალღებისა, რომელიც ჩვენს მეზობელ ქვეყნებში ვითარდებოდნენ : ბიზანტიაში, სპარსეთში, არაბეთში, ინდოეთში და სხვ. რომელთა გენიალურ ხელოვნებასაც განცვიფრებაში მოჰყავს კაცობრიობა — მაინც ქართველმა ერმა თავისი უანგარო შრომით, თავის დაჟინებითი კულტურის განვითარებით, შეჰქმნა თავისი, სამარადისოდ უკვდავი, ხელოვნება. ხელოვნებაში ჩააქსოვა თავისი შეგენბა, გრძნობა და აზროვნება და ჩამოაყალიბა საკუთარ და ლოღიკურ ფორმებში. სხვა დიდ ერებთან ერთად, რომლებმაც კაცობრიობას დაუტოვეს თავიანთი უზენაესი გრძნობის და აზროვნების ნაყოფი და რომელნიც დღესაც ქვის ლოდებშია ალბეჭდილი. ეგვიპტის, ასურეთის, სპარსეთის და ბიზანტიის გვერდით, საქართველოც თავისი ხელოვნებით, სდგას ერთნაირი სიამაყით.

საქართველომ, რუსეთთან შეეერთების შემდგ პირი იბრუნა ევროპისაკენ. დღეს ევროპის ცივილიზაცია და ევროპის ხელოვნებაა გაბატონებული მთელ დედა - მიწის ზურგზედ და იგი სდგას თანამედროვე ცხოვრების და კულტურის განვითარების სათავეში.

ევროპის თანამედროვე ხლოვნება შეიჭრა ყვლა ქვეყნებში და თავის გავლნა მოახდინა. ის ვერ აიცილა თავიდგან საქართველომაც, ხოლო ჩვენი ტრადიციული ეროვნულ - ისტორიული ხელოვნება კი ომებით დაღლილ - დაქანცული რაინდივით ხმალ - აბჯარ ასხმული ყველასაგან მიტოვებულ და დავიწყებულ ტაძრებში განისვენებს.

ლ. საყვარელიძე.

პიროვნება და სახელმწიფო

სამი კონცეპცია

ინდივიდიუალისტური. პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხი ყოველთვის აქტუალური იყო პოლიტიკურ აზროვნებაში. ის განსაკუთრებით თავს იჩენდა ხოლმე დიდი საზოგადოებრივი გარდატეხების დროს. ამ საკითხების გადაწყვეტას ბევრი ფიქრი უმსხვერპლია, სინამდვილეში ხან ერთის ხან მეორის მხარეს იხრებოდა ხოლმე სასწორი. იშვიათ შემთხვევაში მათი ჰარმონიაც მჟღავნდებოდა ნაწილობრივ.

ფეოდალიზმის ინდივიდუალიზმი დაახასიათებს, აბსოლიუტიზმით სახელმწიფოს როლი იზრდება.

კაპიტალიზმის გარიჟრაჟი კვლავ აყენებს ინდივიდის თავისუფლების იდეას. ამას მოითხოვს მისი არსებობის და განვითარების აუცილებლობა. საფრანგეთის 1789 წლის რევოლიუცია პიროვნებისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის სახით აყენებს თანამედროვე ინდივიდუალიზმის საფუძვლებს.

ინდივიდუალიზმი კანონის საფუძველს თვით ადამიანში ხედავს. მისი პრინციპებია : ინდივიდის სუვერენობა, მისი ავტონომია. სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს მის მოქმედებაში, პირიქით მისი ორგანიზაცია სავსებით პიროვნების თავისუფლების დაცვას ემსახურება.

ამ პრინციპების მიხედვით, ადამიანთა ყოველგვარი იურიდიული ურთიერთობის სახე არის თავისუფალი ხელშეკრულება. ხელშეკრულება ხდება პრინციპად წესიერებისა და ყოვლგვარი მოქმედებისა. ხელშეკრულების თავისუფლებისათვის აუცილებლია ეკონომიური თანასწორობა; **მაგრამ რათგან უკანასკნელი** არ არსებობს, ამიტომ თავისუფლება დარღვეულია ინდივიდისა და ხელშეკრულების შემთხვევის შორის. აქ ის მხარეა ბატონი, ვინც ეკონომიურად არის ძლიერი, სუსტისთვის კი თავისუფლება მხოლოდ ფიქტიურია. ამიტომ ხელშეკრულებას ერთმევა ყოველგვარი მნიშვნელობა. მაშასადამე კანონი და სინამდვილე ერთი მეორეს სცილდებიან. ამით ინდივიდუალიზმი ლახავს სწორედ პიროვნების ნამდვილ თავისუფლებას და ხდება იარაღად საზოგადოების შეძლებული ნაწილისა.

ინდივიდუალიზმმა რომ სავსებით შელახა ყოველივე აზრი თავისუფლებისა, ამას კაპიტალიზმი მისი პირმშო შვილი, ნათელს ჰყოფს.

შრომისა და კაპიტალის შორის ხელშეკრულებას ყოველთვის იძულება ახლავს თავს; იძულების მსხვერპლია ყოველთვის შრომა. მართალია ეს აქტი არის თავისუფალი, გარეგნულად ძალდაუტანებელი, მაგრამ ის იძულებითია, და შინაგანი იძულებითი აქტი უარყოფაა ყოველივე თავისუფლებისა, უარყოფაა თავისუფალი ნების გამოხატულებისა. აქ შრომა ემონება კაპიტალს და მუშა ხდება დამქირავებლის უსაზღვრო სურვილების ალმასრულებელი. აქეთგან ერთი ნაბიჯილაა კლასთა ბრძოლამდე.

ამგვარად პიროვნებისა თავისუფლების კლასიკური ფორმულა გაკოტრდა. „პიროვნებისა და მოქალაქის უფლებათა“ განხორციელების სინამდვილემ მიგვიყვანა ბურჟუაზიის ბატონობამდე და ინდივიდუალისტური სახელმწიფო გახდა პოლიტიკური გამოხატულება კაპიტალისტური მეურნეობისა და ამ შემთხვევაში გაამართლა სოციალისტების განმარტება : „სახელმწიფო არის კლასიური ბატონობის ორგანიზაცია“ (ენგელსი). მაშ ინდივიდუალიზმი იყო ლოღიკური წინამძღვარი სოციალისტური და კლასთა ბრძოლის თეორიების წარმოშვებისა.

ამგვარად ინდივიდუალიზმმა ინდივიდის ნამდვილი ინტერესების და საზოგადოებრივი ჰარმონიის დაცვის მაგიერ, გააპო კლასობრივი უფსკრული, რომლის გამოღმა თვითონ დარჩა და გაღმა შვა სოციალიზმი.

სოციალისტური. მისი პრინციპებია ; ეკონომიური — კერძო საკუთრების მოსპობა და შექმნა კოლექტიური მეურნეობისა. პოლიტიკური — კლასთა ბრძოლა და პროლეტარიატის დიქტატურა.

სახელმწიფო არის კლასის ბატონობის ორგანიზაცია. უნდა დაემხოს ბურჟუაზიული სახელმწიფო და დამყარდეს პროლეტარული (რაც ყველასათვის ბუნდოვანია), მისი გარდამავალი საფეხური, პროლეტარიატის დიქტატურა — ეს იქნება ახალი სახელმწიფო, პროლეტარიატის ბატონობის ორგანიზაცია.

საზოგადოებრივი ჰარმონიის დამყარების მაგიერ ამ შემთხვევაში ბურჟუაზიის ბატონობა იცვლება პროლეტარიატის ბატონობით. თუმცა ეს არსებითად წარმოადგენს კვლავ მშრომელი ხალხის წინაღმდეგ ტირანიას. იმ განსხვავებით, რომ პირველ შემთხვევაში თქვენზედ ბატონობს სახელმწიფო ბურჟუაზიული — ახლა პროლეტარიატის სახელით. აი რატომ : კლასთა ბრძოლა გულისხმობს, შეძლებულ და შეუძლებელ კლასთა შორის მუდმივ ანტაგონიზმს, მაშინ კი, როდესაც მყარდება პროლეტარული დიქტატურა, ნელ - ნელა ან ერთბაშად ისპობიან შეძლებული ან მწარმოებელი კლასები (მაგ. რუსეთში) და აქ კლასთა ბრძოლის პრინციპს ნიადაგი ეცლება; მაგრამ ის ხომ მარადიულია! (მარქსი ამბობდა : კაცობრიობის ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორიაო), და ეხლაც პროლეტარიატის დიქტატურის დროს ის სხვა ფორმით იჩენს თავს. ვინაითგან პროლეტარულ სახელმწიფოში მწარმოებელი კოლექტივია, ფაქტიურად სახელმწიფო — მშრომელი ხალხი დამოკიდებულია თვით რეჟიმზედ. ის მისგან იჩაგრება. აქ კაპიტალი იცვლება სახელმწიფოთი. მაშ სოციალისტური და ბურჟუაზიული სახელმწიფო ორივე ადამიანის ნამდვილ თავისუფლების შელახვასა და მის ექსპლოატაციას ემსახურებიან. იმ განსხვავებით, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფო კერძო ინიციატივით ახდენს ამ ოპერაციას და თვითონ მფარველობს, სოციალისტური კი ან კოლექტივების ან პირდაპირ სახელმწიფო აპარატის საშუალებით, ე. ი. უკანასკნელი უფრო ახლოა ყვლეფის ობიექტთან.

ამგვარად ინდივიდუალისტური და სოციალისტური კონ-

აზრუმის ალების ამბავსაც, რომელიც ისტორიაში ცნობილია „ბოლოსტიკეს ომის“ სახელით. ამ დროსაც ევროპის რაინდები ქართველებს ჯვაროსნებად და მათ მოკავშირედ ალიარებენ. მათ ისეთი გადაჭარბებული ცნობებიც აქვთ შემონახული, თითქოს მრავალი ლაშქარი აქეთგან სირია - პალესტინისკენ დაქანებულიყოს. ვინ იცის, ქართველებისთვის ამ ხანაში ასეთი ლაშქრობებიც არ იყო უცხო!

და ბოლოს 1117 წლისთვის გადაწყვეტილი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს შესახებ, რომ უშუალო დოკუმენტებიც არსებობს. (სხვათა შორის ამ ხანას ეხება ზემოდ მოყვანილი ბ. ავალიშვილის ციტატა).

1219 წელს, როდესაც ჯვაროსნებმა ქალაქი დამიეტი აიღეს, მეფე გიორგი ლაშას გაუგზავნია ელჩები მოსალაპარაკებლად და ამის შემდეგ გადაუწყვეტია აქტიურად ჯარით ჩარევა. ამ მდგომარეობას ნათლად გვისურათებს ჩვენამდე მოღწეული საქართველოს მთავარსარდლის ივანე მხარგრძელის 1223 წ. პაპისადმი მიწერილი წერილი. ამიტომ აქ მთლიანად მოვიყვანთ მის დიდ ნაწილს. ის სწერდა: „თქვენმა წმიდა მართლბრძანებამ, რომელიც დამიეტში მყოფის ელჩის მიერ წარმოგვივლინეთ, მოაწია მეფემდე და ჩემამდე. **ხოლო როცა ჩვენ დიდის ძალით მოვამზადეთ რა ჯარი, ცხენოსნები, სურსათი და ვაპირებდით წასვლას ქრისტიანების შესაწევნელად და წმიდა ადგილების დასახსნელად,** ამ დროს თათარნი, ჯვარით წარმოძლვანებულნი შემოვიდენ ჩვენს ქვეყანაში, ქრისტიანების მოჩვენებით მოგვატყუეს და ექვსი ათასამდე კაცი გაგვიწყვიტეს. ხოლო შემდგომ რა ვსცანით, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანები არ იყვნენ. თქვენის ლოცვის ძალით და წმ. ჯვრის შემწეობით წინააღუდექით, 25 ათასი ცხენოსანი გავუწყვიტეთ, ზოგნიც დავატყვევეთ და დანარჩენიც ჩვენი საზღვრებითგან გავდევნეთ. ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ ვერ შევასრულეთ თქვენი ბრძანება თქვენის ელჩის მიერ გამოცხადებული. **გარნა დიდად განვიხარეთ, რომ გიბრძანებიათ იმპერატორისა და დასავლეთის სხვა ქრისტიანებისთვის, რათა წარმოვიდენ** წმინდა ადგილების დასახსნელად. აწ გაუწყებთ, რომ თქვენს ბრძანებას ველით და მზად გახლავართ მთელის ჩვენის ძალით წავიდეთ ქრისტიანების შესაწევნელად: **მე თვით მზადა ვარ წმიდა ადგილების დასახსნელად წავიდე ორმოცი ათასი მეომრით, სადაც თქვენ ისურვებთ. მსგავსადვე გაუწყებთ რომ, როგორც მე, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ყველა მთავრებმა მიიღეს ჯვაროსნობა“** (იხ. თამარიშვილის ისტ. გვ. 9. ლათინური ტექსტი, გვ. 564 - 565). ამ საბუთს განმარტება აღარ სჭირია. ერთი შეიძლება. შესაძლებელია ივანე მხარგრძელი პაპს ატყუებს (ე. ი. დიპლომატობს, როგორც ბ. ნ. ჟ. ამბობს!). მაგრამ ეს აზრი უსაფუძვლოა, რათგან როგორც შემდეგ ვნახეთ. სწორედ აღნიშნულ თარიღს უდგება, მონგოლთა ურდოების პირველი შემოსევის თარიღი.

მსგავსივე წერილი აქვს მიწერილი რუსუდან დედოფალს, მაგრამ რათგან ის ახალს აღარაფერს შეიცავს, მასზედ აღარ შევჩერდებით. ახლა გადავავლოთ თვალი ჯვაროსანთა ისტორიას.

მე-4 - 5-ე საუკუნეში აზია იყო ცენტრი: კულტურული, ეკონომიური, პოლიტიკური და რელიგიური, მთელ იმ დროინდელ ცივილიზაციურ სამყაროზედ. ამ დროს რომის დიდებას გერმანიის ტომები არბევენ. მთელი ქვეყნის სიმდიდრე გროვდება იერუსალიმში, ანტიოქიაში, ალექსანდრიაში და კონსტანტინეპოლს.

უკვე მე-7-ე საუკუნეში აქ ქრისტიანობა გამარჯვებულია. სირია - პალესტინაზედ ვრცელდება ბიზანტიის გავლენა. ხოლო სპარსეთის და მისი სარწმუნოების პრიორიტეტი უკუგდებულია. ყველა ამ მდგომარეობით საქართველო სარგებლობდა. ამ ხანას ეკუთვნის ჩვენი დიდი სამონასტრო კოლონიზაცია სირია - პალესტინაში.

მალე მდგომარეობა იცვლება. ჯერ 614 წ. სპარსელები შეესევიან იერუსალიმს და მერე არაბთა ხალიფი **ომარი** და ამ დროითგან მცირე აზიის რუქაც იცვლება.

მე-8-ე საუკუნეში გამარჯვებულ არაბებთან ფრანგებმა მიაღწიეს შეთანხმებას და აღმოსავლეთის ქრისტიანეთა პროტექტორატი მიიღეს თავზედ. ეს მდგომარეობა მე-7-ე საუკ გასულამდის გაგრძელდა. ხოლო მე-11-ის დასაწყისში, არაბთა ხალიფი **ხაკემი** ბრძანებას აძლევს სირიის გუბერნატორს, გაანადგუროს ქრისტიანობის ყველა ემბლემები. ეს დევნა გრძელდება 1009 - 1020 წლამდე და ქრისტიანობა დიდ ვნებას იღებს. საფრანგეთის პროტექტორატი გაჰქრა.

ხოლო არაბებს სასტიკად შეებრძოლა ბიზანტია. რადგან ამ დროს უკვე თურქ - სელჯუკები მიიწევდენ არაბებზედ. ამიტომ არაბთა ხალიფი **ალ ზაჰირი** 1027 წ. ხელშეკრულებას სდებს ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე მე-8-სთან. ამ ზავით ბიზანტია გამოვიდა მფარველად წმ. ადგილებისა ამ დროითგან ქრისტიანების თავისუფლება კვლავ უზრუნველყოფილია. **უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ნიშნავდა მაშინ ვაჭრობის თავისუფლებასაც, რომელსაც ეწევა ჯერ ბიზანტია და მერე იტალიის ქალაქები აღმოსავლეთთან. ხოლო საქართველო იყო გზა და ხიდი და ასეთი გაცხოველებული ურთიერთობით ის დიდად სარგებლობდა.**

მაგრამ 1064 წელს **სელჯუკები** იპყრობენ ბაღდადის ხალიფატს და ავიწროებენ ბიზანტიის საზღვრებს. იპყრობენ ყარსს, ახისს, შემდეგ გადიან ეფრატს იპყრობენ კესარია-- კაპადოკიას და მალე ხდებიან ბატონი მთელი მცირე აზიისა. 1071 წ. არსდება **რუმის სულთანატი.** 1092 წ. ისინი შეიჭრებიან სმირნაში, ლესბოსსა და სამოხში და სხ. ამიერთიგან მთელი აღმოსავლეთის ციდება თურქებს უვარდებათ ხელში. ისინი ამ დროს იქ აღარ აკარებენ სხვა ხალხს ქრისტიანებს და მათ ადგილობრივაც სასტიკად სდევნიან. ამგვარად დიდი ხნითგან რელიგიური აღტყინების სავანე **იერუსალიმი,** სადაც ყოველი ქვეყნის ქრისტიანებს თავისი მონასტრები და სამლოცველოები გააჩნდა, იქცევა თურქების თარეშის სარბიელად. რასაკვირველია ამ ვითარებაში ჩაქსოვილია არა მარტო სარწმუნოებრივი, არამედ სავაჭრო და მომავლისთვის პოლიტიკური ინტერესიც და ეს გახდა მთავარი საფუძველი ჯვაროსნობის წარმოშვების და მისი პირველი ინიციატივა სწორედ 1072 წ. ეკუთვნის ბიზანტიის იმპერატორს მიხეილ მე-7-ეს. და ისტორია რომ აღარ განვაგრძოთ, უკვე 1099 წ. პირველი ჯვაროსნები ანთავისუფლებენ იერუსალიმს.

როგორ ხვდება აქ ქართველების და ჯვაროსნების ინტერესები. სწორედ ამ ხანას ეხება დავითზედ შექმნილი ლეგენდები.

აი რატომ. როდესაც ჯვაროსნები ხმელთა შუაზღვიდან უტევდენ თურქებს, ამ დროს საქართველოდგან ებრძოდა დავითი, თურქების ძალა იყოფოდა და ცხადია დავითი გამოდიოდა მოკავშირის როლში ჯვაროსნობისადმი. გარდა აქტიური ბრძოლებისა, რომელიც ცხადია ჩვენი შინაური მდგომარეობის მიერ იყო გამოწვეული, ისეთაც ნეიტრალურ პირობებშიც საქართველო და კავკასია ევროპისათვის იყო ციხე - სიმაგრე აღმოსავლეთის დამპყრობელთა წინააღმდეგ. იმ დროს წყაროები ერთხმად მოწმობენ, რომ მაშინ ევროპას საქართველოს ასეთი მნიშვნელობა ძალიან კარგად ესმოდა. ასეთი იყო საქართველოს როლი ჯვაროსნებისთვის. ის უფრო საინტერესოა თვით საქართველოსთვის. საქართველოში ამდროს ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული მთლიანი გაერთიანება. კახეთი ცალკეა, ტფილისი არაბთა ხელშია, მესხების მთავრეები ებრძვიან მეფის ხელისუფლებას და ამ ბრძოლებში გარეშე მტრისადმი ხელის გაწვდომასაც არ თაკილობენ. ყველა ასეთი პირობებში მეფე დავითი გრძნობს, რომ აღმოსავლეთითგან მოიწევს სელჯუკების რისხვა და თუ არა ჯვაროსანთა შესანიშნავი შემთხვევა, სხვა რა პირობებში შეეძლო მას საკუთარი სახელმწიფოებრივობის აღდგენა; და სწორედ მაშინ,, როდესაც სელჯუკების მთავარი ძალები მიაწყდენ ხმელთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეპციები არამც თუ ვერ აკმაყოფილებენ საზოგადოებრივი თავისუფლებისა და სოციალურ სამართლიანობის ძირითადი პრინციპებს, არამედ სცილდებიან საზოგადოებრივი ცხოვრების რეალ ბუნებას და შეაქვთ მასში დისჰარმონია და სრული ანარქია.

ფაშისტური. როგორც ვნახეთ ინდივიდუალისტური და სოციალისტური ორივე აბსოლიუტური კონცეპციებია; ფილოსოფიური აზროვნების ლოღიკური დანასკვი. ბუნებითი კანონი სტატიური ფორმაა იურიდიულ ურთიერთობისა. ადამიანთა ცხოვრებას კი, როგორც მარადი ცვალებადობათა პროცესს, ვერ ავსებს ლოღიკით აპრიორულად ნაკარნახები კანონები. ის უფრო მეტია. ცხოვრება როგორც მთლიანი პროცესი მოითხოვს ერთ მთლიან გამოხატულების მაჩვენებელ ფორმულებს, ინდივიდუალიზმი და სოციალიზმი კი ორი სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ ორივე ცალმხრივ მიეზიდებიან საკითხს. ხოლო რეალობა მოითხოვს ინდივიდისა და კოლექტივის ინტერესების არა ცალკე დაცვას, არამედ მათ ურთიერთ შეხმატკბილებას, ჰარმონიას, მათ შორის საშუალო საერთო ხაზის გამონახვას, არც ერთის უპირატესობით. საჭიროა გამოინახოს ისეთი დოქტრინა, რომელიც ამ პრინციპების განხორციელებას ემსახურება.

ფაშიზმი არის ცდა ასეთი დოქტრინის სისტემის შექმნისა. მისი პრინციპები საზოგადოებრივი წონასწორობის, ინდივიდის და კოლექტივის ინტერესთა ჰარმონიის შექმნას ემსახურებიან

იტალიის ფაშისტური რევოლიუცია არ არის შემთხვევითი ამბოხება, ძალაუფლების ერთი წრისაგან მეორის ხელში გადასვლის სურვილით გამოწვეული. არამედ ის არის მთელი ევროპის მაშტაბით სახელმწიფოებრივი ცხოვრების და პოლიტიკური აზროვნების ძირეული გარდატეხის აქტი.

ფაშისტურმა რევოლიუციამ შესცვალა არა მთავრობა, არამედ მან გარდაქმნა სახელმწიფოს ორგანიზაცია, და ამდენად 1789 წლის შემდეგ ის მეორე რევოლიუციაა სახელმწიფოებრივი და ეკონომიური სისტემების ფართე გარდაქმნისათვის. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ საფრანგეთის რევოლიუციას წინ უსწრობდა წიგნად დაწერილი ყველა ის იდეები, რაც რევოლიუციამ შემდეგ გაანალდა და ეს მიტომ რომ მას ფილოსოფიური საფუძველი ჯერ ინგლისშიაც ჰქონდა მომზადებული. ფაშისტური რევოლიუცია კი მთელი ძველი რეჟიმის დაშლის ალიაქოთით თვით არის მშობელი ახალი დოქტრინის. ფაშისტური რევოლიუცია შვილია ცხოვრების რეალ სინამდვილის. მისი დოქტრინა, თეორიული გამოხატულება, მოსდევს მის აქტს, მოქმედებას, ამდენად ის მოქმედების იდეოლოგიაა. ამიტომ არის რომ ფაშისტური დოქტრინა დამთავრებული ფორმულების სახით ფაშისტური რევოლიუციის მეთორმეტე წლის თავზედაც არ მოგვეპოვება. ის ნელ-ნელა იქმნება თვით ცხოვრების პროცესში, მის ევოლიუციასთან ერთად.

ფაშისტური კონცეპციით პიროვნება არ არის თვით მიზანი, არამედ ის არის საშუალება, ის წარმოადგენს ნაწილს ორგანიზმისას, რომლის ყველა ნაწილთა შორისაც არსებობს ერთგვარი ჰარმონიული დამოკიდებულება მთავარი ხელმძღვანელი იდეის მიმართულებით. აქ არ არსებობს პიროვნების სუვერენობა თავისთავად, მას არა აქვს აქ უფლება, არამედ მოვალეობა. პიროვნება საზოგადოებისგან იზოლიაციაში, განსახორციელებლად მხოლოდ თავისი ეგოისტური ინტერესებისა, არ არსებობს; ის არსებობს იმდენად, რამდენადაც წარმოადგენს ამა თუ იმ საზოგადოებრივ ფუნქციას.

ინდივიდის ცხოვრება სრულყოფის ფორმას იღებს ადამიანებში, დაჯგუფებაში, კოლექტივში. რა არის ეს დაჯგუფება? ეს არ არის სოციალური კლასი. კლასის კონცეპცია არის ბრძოლის კონცეპცია. ამ ბრძოლის სულის გარეშე კლასი არ არსებობს. კლასი განსაზღვრულ მატერიალური ინტერესების ნიადაგზედ ქმნის ერთგვარ სოლიდარობას. და ეს ხდება მხოლოდ მატერიალურ ნიადაგზედ. თუ მას ვიცნობთ სოლიდარობის ძირითად პრინციპად, მაშინ ერში ან მთელ სახელმწიფოში შეიძლება ათეული კლასები აღმოჩნდენ. მათი ცალცალკე დამახასიათებელი ეკონომიური ინტერესების სოლიდარობის ნიადაგზედ მაშასადამე კლასიური საზოგადოება არის მეტად ვიწრო ცნება, ის ცხოვრების ერთ მთლიან სფეროსთან არ არის დაკავშირებული. რადგან ერთი კლასი მხოლოდ მიტომ არის კლასი, რომ მისი განსხვავებული შემოქმედებითი უნარიანობით დაპირისპირებულია მეორესთან. ამდენად კლასიური სოლიდარობის სფერო არ არის ის დამთავრებული ორგანიზმი, სადაც პიროვნება შეიძლება მოთავსდეს, როგორც მატარებელი ერთი მთლიანი ერთეულის ცალკე ფუნქციისა.

არც ცალკე სოციალურ კლასთა ერთობა ჰქმნის ერთიან სოლიდარობას. მისი თავისუფალი ხელშეკრულებითი გაერთიანება ხდება ამა თუ იმ მორალური ან კულტურული ტენდენციით. და აქ ჯერ კიდევ არ აშკარავდება ერთი საერთო, უმთავრესი ინტერესი. აქ ადგილი აქვს სოციალურ ინტერესთა მხოლოდ არითმეტიკულ ჯამს, რომელმაც არ შეიძლება ყოველთვის, საერთო ინტერესის, ეროვნული სოლიდარობის შინაარსი ჰქონდეს

უმაღლესი ინტერესი, ეს არის პიროვნების ინტერესთა ჰარმონია კოლექტივის ინტერესთან.

ფაშიზმი ასეთ კოლექტივად ერს აცხადებს, და მის ინტერესთა აღმასრულებელ ორგანოდ, სახელმწიფოს.

ინდივიდუალიზმის თეორიით, სახელმწიფო არის პიროვნების ინტერესების დამცველი, არ აინტერესებს საზოგადოებრივი მოქმედება. სოციალისტური თეორიით სახელმწიფოს აქვს მხოლოდ ეკონომიური ფუნქცია. ის არის მწარმოებელი. ფაშიზმით, სახელმწიფო არის დამცველი ეროვნულ ინტერესთა, რითაც ხორციელდება როგორც სოციალური ისე კერძო ინტერესები. ის ინახავს ლიბერალური სახელმწიფოს ფუნქციებს და უმატებს ეკონომიურ ფუნქციას, არა როგორც მწარმოებლის, არამედ როგორც წარმოების რეგულიატორის, დამზღვევი კერძო და კოლექტიურ უფლებათა პატივისცემისა .

ერი, რომლის დამცველი ორგანო უნდა იყოს სახელმწიფო, ოჯახის შემდეგ, არის მეორე ბუნებრივი დაჯგუფება ადამიანთა საზოგადოებაში.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ რომ ეროვნული ინტერესი არ არსებობს. არსებობს კლასობრივი ინტერესები. წარმოვიდგინოთ ისიც, რომ ერთ ზღაპრულ დღეს მთელს მსოფლიოზედ **სოციალიზმი დამყარდა.** რა მოხდება! მაშინ რაღა მოუვა კლასთა ბრძოლის თეორიას?! და ამ დროს სინამდვილეში რა გვექნება? დარჩება მხოლოდ **ერები** და მაშასადამე ეროვნული ინტერესები. აღარ იქნება კლასები — აღარ იქნება ინტერნაციონალური კლასიური ურთიერთობანი, არამედ ერები და მათ შორის ურთიერთობის საკითხები.

ამგვარად, ეროვნული პრინციპი, თვით, დაშვებულ სოციალისტურ სახელმწიფოშიც ძალაში რჩება და მაშასადამე მისი ინტერესები რეალ ფაქტად. და ფაშისტური ინტერესთა დარაჯი. მისი ხელმძღვანელი და მომწესრიგებელი. სახელმწიფო, მისი როლის ასეთი ხასიათი ავალებს პოლიტიკური და ეკონომიური ორგანიზაციების ისეთი ფორმების შექმნას, სადაც შესაძლებელი გახდება პიროვნებისა და კოლექტივის ინტერესთა ისეთი კოორდინაცია,რომ უმაღლეს ეროვნულ ინტერესთა ტრიუმფი ფაქტად იქცეს. და ასეთი მოქმედების გზაზედ, ცხადია, პიროვნების უფლებათ ფაშიზმი ხელშეუხლებელს ვერ დასტოვებდა. მან ის შეზღუდა გარეგნულად და არა არსებითად. მას უსაყვედურებენ პიროვნების თავისუფლების ალკვეთას, ნამდვილად კი ის არ იკვეცება, აი რატომ : ვინაითგან ინდივიდი ოჯახის და კოლექტივის გარედ არ არსებობს, ამიტომ შეუძლებელია რაიმე აბსოლიუტურ ინდივიდუალურ თავისუფლებაზედ ლაპარაკი. ის არის დაკავშირებული კოლექტივთან და მისი მოქმედებით ის არის კოლექტივის ფუნქცია. არასოდეს მისი მოქმედება თავისუფლად არ იქნება ცნობილი, თუ ის კოლექტივის ინტერესს ეწინაღმდეგება. მაგ.: პიროვნებას მოესურვა შუა ქუჩაში გაჩერება, იმ დროს, როცა ქუჩაში დიდი მოძრაობაა. თუ აქ პიროვნების ნება თავისუფალი დასტოვეთ, ქუჩის ნორმალური მოძრაობა უნდა შეჩერდეს. ამით კი ფერხდება საზოგადო, კოლექტივის ინტერესები, და მაშასადამე თვით პიროვნებისაც, როგორც მისი წევრის. ცხადია პიროვნების თავისუფლების ასეთი ფორმა იკვეცება და ის ეგუება საზოგადოებრივ მოთხოვნილებათ. მაშ აქ ინდივიდი ისევ ფუნქციაა კოლექტივის ინტერესებისა. რამდენადაც ეს სწორია, ამდენად პიროვნება კოლექტივის, ე. ი. ერის და მაშასადამე სახელმწიფოს წინაშეც გარკვეული პასუხისმგებლობით არის აღჭურვილი, პასუხისმგებლობით მისი მოვალეობითი ფუნქციის მიმართ. და სადაც პასუხისმგებლობა არის, იქ პატივისცემასაც თავისი ადგილი აქვს. ამდენად სახელმწიფო სცნობს პიროვნების ნამდვილ უფლებებს.

ფაშიზმი ისახავს რა მიზნად პიროვნებისა და კოლექტივის ინტერესთა შეხამება-შეხმატკბილებას, ერის უმაღლესი ინტერესის ტრიუმფში ხედავს სინთეზს ამ ორი ინტერესისა. იქვე ხედავს პიროვნების თავისუფლების რეალ სახეს. ყველა ამის განხორციელება კი შესაძლებლად მიაჩნია სახელმწიფოს კორპორატიულ ორგანიზაციაში.

ფაშისტური სახელმწიფოს ეკონომიური ორგანიზაციის პირველი ნაწილი, **სინდიკატები,** აგებულია სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი თავისუფალი ხელშეკრულების ნიადაგზედ — აქ დაცულია პიროვნულ-პროფესიონალურ-კლასიური ინტერესები. მეორე ნაწილი **კორპორაციები,** შემდგარი, შრომისა და კაპიტალის წარმომადგენლობით, აღიარებულია სახელმწიფოს ორგანოდ, რომელშიც თვით სახელმწიფო ასრულებს არბიტრის როლს და მით ამჟღავნებს ეროვნულ სოლიდარულ ინტერესებს. — აქ იზღუდება პიროვნულ-კლასობრივი ინტერესები ერთი მთლიანი ეროვნული ინტერესისთვის.

ამგვარად, პიროვნულ-კლასობრივ-ეროვნულ ინტერესთა იერარქიული დამოკიდებულებით ფაშისტური სახელმწიფო სცდილობს დაამყაროს საზოგადოებაში ეკონომიური წონასწორობა და სოციალური ჰარმონია.

ანდრო დოლიძე

შუა ზღვის ნაპირებს, ასეთი ხელსაყრელი დრო შეურჩია მას და თავის საზღვრებითგან ნელ-ნელა განდევნა მტრის გარნიზონები.

სელჯუკები ძალიან კარგად გრძნობდენ, რომ ისინი აღმოსავლეთითგან სფრო სასტიკად მარტხდებოდეს. ისინი გრძნობდენ, რომ ამ გაერთიანებულ ძალების წინაღმდეგ ისეთივე ისლამური გაერთიანება იყო საჭირო, და დიდი **დოღრულ ბეგი სელჯუი** ამას კიდეც აღწევს. მან დასავლეთის ფრონტს თავი მიანება, შეადგინა კოალიცია თურქ-არაბ-სპარსთა, მოახდინა იმ დროისთვის უცნობი მობილიზაცია სირია-პალესტინითგან დაწყებული, ანატოლიით გათავებული, შეადგინა საკუთარი, რჩეული ჯარი რიცხვით 600,000 (თუ 800,000) და განიზრახა, საქართველოს ბედი ერთის დაკვრით გადაეწყვიტა და მერე დასავლეთის ფრონტს დაჰბრუნებოდა. მაგრამ ეს დიდი შეტაკება **დიდ გორის** ბრძოლაში ქართველთა გამარჯვებით დაგვირგვინდა. საქართველო ამ დღითგან საერთაშორისო სახელმწიფოებრივ ურთიერთობაში შევიდა, როგორც ერთი ძლევამოსილი სახელმწიფო, და ჯვაროსანთა თვალში ის ღმერთად იქცა. და ჩვენ გვგონია, რომ თურქთა და ჯვაროსანთა შეტაკებების დრო დავით მეფეს მოსამზადებელ ხანად არ გამოეყენებია, მაშინ ვერც დიდ გორის გამარჯვებას მიიღებდა და ვინ იცის ჩვენი ოქროს ხანაც რა სახელს ჩასწერდა ისტორიაში!.. აქეთგან მგონია ცხადი უნდა იყოს ჯვაროსანთა ომების მნიშვნელობა ჩვენთვის, ან უკუღმა, და ისიც თუ ყველა შექმნილი პირობებით, როგორ გენიოსურად ისარგებლა ქართველმა გვირგვინოსანმა.

ჯვაროსნების მიერ დავითის ჯვაროსნად გამოცხადებაც გასაკვირველი არ არის, რადგან თვით **დოღრულ ბეგის** კოალიციაც იყო წმიდა **ისლამური კოალიცია.**

ამ ფაქტითგან სჩანს ისიც, თუ პატარა საქართველოს როგორ შეუძლია დიდი როლის თამაში ორ დიდ მსოფლიოს შორის.

1187 წელს კვლავ დაეცა ქრისტიანთა დედა ქალაქი. სულთანი **სალადინი** 17 სექტემბერს ზეიმით შევიდა იერუსალიმში. კვლავ იწყება ბრძოლები და სალადინი მაინც გამარჯვებული რჩება. მალე ის კვდება და მის სამეფოს ანარქია მოიცავს. იწყება კიდევ ახალი ჯვაროსნობა. მაგრამ ამ ახალ პროცეშში უკვე ნელნელა ირკვევა, რომ ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები პირველ რიგში დგებიან. სარწმუნოებრივი ცეცხლიც იშრიტება. გერმანიის იმპერატორი ზედი-ზედ უტევს არაბებს, და სურს აღმოსავლეთში მისი ჰეგემონიის დაფუძნება. მათი შეცილების შედეგი იყო უსათუოდ, რომ ფრანგების ჯვაროსნები წმიდა ადგილების ღეხსნის მაგიერ ბრძოლით იბრუნებენ კონსტანტინეპოლს. იქ უზურპატორი მეფის ჩამოგდების საბაბით და იქითგან ათორმეტ სიმდიდრეს მოეზიდებიან პარიზში, რომლის ნაშთები დღესაც უხვად არის პარიზის კათედრალებში. ეკონომიურად, განსაკუთრებით იტალიის ქალაქების: გენუის, ნეაპოლის, ვენეციის განვითარებულ ალებმიცემობისათვის აღმოსავლეთის დაპყრობა დიდად იყო საინტერესო. ისინი უკვე ყირიმში აარსებენ ახალშენს. ვენეცია მთელ თავის საზღვაო ფლოტს აძლევს ჯვაროსნებს გადაზიდვის ოპერაციებისთვის. მაგ. 1200 წ. ფრანგმა ჯვაროსნებმა ვენეციელებთან ასეთი ხელშეკრულება დასდეს: უკანასკნელთ მათი ჯარი უნდა გადაიყვანონ. ხოლო პირველნი გამარჯვების შემდეგ, გარდა ზოგი თვალდი გადასახადის, დაპყრობილი ადგილების ნახევარს მათ მისცემდენ. და ამრიგად ამ დროითგან ჯვაროსნობა აღმოსავლეთის საკითხად იქცა. და აი, აქლიმთა ასეთ პოლიტიკურ და ეკონომიური ბრძოლის დროს საქართველო თავის ინტერესებს არ გასჭყლეტდა. მით უმეტეს, მას ამ დროს დალხენის ხანა ჰქონდა. თვით იყო გაძლიერებული. მტერი დაცემული. და აქეთგან გასაგებია ქართველთა ამ დროინდელი **ჯვაროსნობის რომანტიული ხასიათი.**

მე-13-ე საუკ. დასაწყისში კვლავ იცვლება მდგომარეობა. 1206 წ. ჩინგისხანი ყარაყორუმში იმპერატორად აცხადებს თავს. 1216 წ. იპყრობს მთელ ცენტრალურ აზიას და 1220-1223 აააწლებში დასავლეთისკენ ეშვება, ჯერ კი შემოესევა საქართველოს.

ამ ამბების მოლოდინი იმდროინდელი ქართველი პოლიტიკოსებისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო. და წინასწარი თადარიგი ცხადია ყველას ექნებოდა. ჩინგის ხანმა ეს მერე დაუმტკიცა ყველას. ამ დიდ ცვალებადობის მოლოდინში, როცა საქართველოს დიდების მზე მიესვენებოდა, საქართველოს კიდევ ერთხელ შეეძლო ესარგებლა ჯვაროსანთა გამოწვევით. ამ დროს ეხება ზემოდ მოყვანილი ივანე მხარგრძელის წერილი, და ისეც ვიცით, რომ ისტორიამ ჩვენი ბედი მალე აღმა შეაბრუნა...

რომ მაშინდელი ქართველი სარდლები, ჩვენი დროის პოლიტიკოსებზედ შორსმჭვრეტელნი იყვენ და დიდი ევროპის სამეფოებით ძალიან მოხერხებულად სარგებლობდენ, ამას მე-15 საუკუნის ერთი აბავიც მოწმობს.

როცა ოსმალები კონსტანტინეპოლს იპყრობენ, კვლავ იბადება ჯვაროსნობის იდეა. რომის პაპის პირველ მოწოდებაზედვე ქართველებმა მოახდინეს ურთი-ერთ შეთანხმება, შეკრეს კოალიცია ტრაპიზონსა, სომხეთსა და სპარსეთთან და დელეგაცია აახლეს ევროპას. მიუხედავად იმისა რომ ევროპამ ამ დროს თავი აღარ გამოიდო, ქართველები ამ ჯვაროსნობის მოწყობას მაინც დაჟინებით მოითხოვდენ. მათი მიზანი, ცხადია, პოლიტიკური იყო,სხვაგვარად გაუგებარიც არის ამ კოალიციაში სპარსეთის მონაწილეობა.

დასკვნა. ამგვარად მრავალ ამბავთა მოკლედ მოთხრობით ყველაფერი ნათელია და რადგან ვამბობთ, რომ ქართველი ერი თავის პოლიტიკურ ცხოვრებაში უმთავრესად ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესებით მოქმედებდა, სინამდვილის უაზრო უარყოფა იქნებოდა, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებისათვის ჯვარი დაგვესვა. ამ შემთხვევაში სარწმუნოებისათვის, მით უმეტეს, რომ ქართველთა სიმპატიურ ურთიერთობას ჯვაროსნებთან, ედვა საფუძვლად უდიდესი სასიცოცხლო ინტერესები ეროვნული და სახლმწიფოებრივი თვალსაზრისით.

მასალები: 1) ზ. ავალიშვილი. „ჯვაროსანთა დროიდან"; 2) ივ. ჯავახიშვილი. „ქართ. ერის ისტორია" წ. 4; 3) მიხ. თამარაშვილი. „კათ. ისტ. ქართ. შორის"; 4) „ქართ. ცხოვრება".
5. L. Brenier. « Les Croisades ». Paris 1928.
6. J. Ebersolt. « Orient et Occident ».
7. Gaud-Demombynes. « Le monde Musulman et Byzantin jusqu'aux croisades ». Paris 1931.
8. M. Houtsma. « Histoire des Seldjoucides, t. II ».

ფული და წერილები უნდა გადმოიგზავნოს შემდეგი თმისამართით: M. Sckriachvili, 142 Bd de Grenell Paris.

Le Gérant : G. F. BESSONIES.

Imp. de Navarre: 5, rue des Gobelins, Paris (XIIIe).